

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის

### ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 481,9 ათ.ლარით.

2017 წლის I კვარტლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 2 ცვლილება:

**I. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი დაზუსტდა 2017 წლიდან გარდამავალი ნაშთებით:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა **3 905 653,48** ლარი. მათ შორის:

1. თავისუფალი ნაშთი - 2 628 573,05 ლარი;
2. საქართველოს მთავრობის #175 განკარგულება (04.02.2016 წ.) (რეგიონალური პროექტები) – 602 329,11 ლარი;
3. საქართველოს მთავრობის #506 (12.03.2015 წ.) განკარგულება (სოფლის პროექტები) – 1018,28 ლარი;
4. საქართველოს მთავრობის #265 (19.02.2016 წ.) განკარგულება (სოფლის პროექტები) – 36 983,60 ლარი;
5. საქართველოს მთავრობის #1340 ( 07.07.2016 წ.) განკარგულება (სტიქია) – 25 477 ლარი;
6. საქართველოს მთავრობის #1409 (18.07.2016 წ) განკარგულება (სტიქია) – 611 272,44 ლარი;

გატარებული ცვლილებების შემდეგ ოზურგეთის ბიუჯეტი 2017 წლის 20 იანვრის მდგომარეობით განისაზღვრა **14 387,6** ათ. ლარით.

## II. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 03 მარტის N 3 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა არ გაზრდილა:

დადგენილების თანხამად 682 000 ლარით შემცირდა ხარჯების მუხლები და შესაბამისად გაიზარდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.

დაზუსტების შემდეგ ბიუჯეტის მოცულობამ 3 მარტის მდგომარეობით შეადგინა **14 387,6 ათ. ლარი.**

2017 წლის I კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2017 წლის ბიუჯეტი 1 აპრილის მდგომარეობით განისაზღვრა **14 387,6 ათ.ლარით:**

- 1) გადასახადები - 3 100,0 ათ.ლარი
- 2) ტრანსფერი - 5104,6 ათ.ლარი
- 3) სხვა შემოსავლები - 1427,3 ათ.ლარი
- 4) არაფინანსური აქტივების კლება - 850,0 ათ.ლარი
- 5) შემოსავალი ნაშთიდან - 3 905,7ათ.ლარი.

### იხ.დანართი#1

## შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობებმა 2016 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 1164,9 ათ. ლარი, წლიური გეგმის 11,11 %-ი (წლიური დაზუსტებული გეგმა 14 387,6 ათ.ლარი, (იხ.დანართი #2)

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია 13,21 %-ით (გეგმა 5377,3 ათ.ლარი, შესრულება 710,5 ათ.ლარი), მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის გეგმა შესრულებულია 7,88 %-ით ( წლიური გეგმა 700,0 ათ.ლარი შესრულება 55,2 ათ.ლარი).
- საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გასახადის გეგმა 0.0 %-ით ( წლიური გეგმა 1400,0 ათ.ლარი შესრულება 0.0 ათ.ლარი) ;
- ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულებულია 16,91 %-ით. (წლიური გეგმა 120,0 ათ. ლარი შესრულება 20,3 ათ. ლარი);
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 0 %-ით. (წლიური გეგმა 400,0 ათ.ლარი შესრულება 0 ლარი);
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 0 %-ით.(წლიური გეგმა 480,0 ათ.ლარი შესრულება 0,0 ათ.ლარი);

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 111 %-ით ( წლიური გეგმა 230.0 ათ.ლარი, შესრულება 255,4 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 21,29 %-ით( წლიური გეგმა 57,3 ათ.ლარი, შესრულება 12,2 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 8,91 %-ით (გეგმა 120,0 ათ.ლარი, შესრულება 10,7 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 6,4 %-ით (გეგმა 50,0 ათ.ლარი შესრულება 3,2 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 27,22 %-ით (წლიური გეგმა 850,0 ათ.ლარი, შესრულება 231,4 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 11,41 %-ით (წლიური გეგმა 850,0 ათ.ლარი, შესრულება 97,0 ათ.ლარი);

2017 წლის I კვარტლის მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 454,4 ათ.ლარი, მათ შორის:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი – 410,9 ათ.ლარი ;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 43,5 ათ.ლარი ;

#### **გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი ( ხ ა რ ჯ ე ბ ი )**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა დაზუსტების შემდეგ შეადგენს 14387,6 ათ.ლარს (იხ.დანართი №3). ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2017 წლის I კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 2911,2 ათ. ლარი წლიური გეგმის 20,23 %, მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 725,2 ათ.ლარი წლიური გეგმის 23,75 %;
- ქვეყნის დავდაცვისუნარიანობის ამაღლების დაფინანსებამ შეადგინა 23,6 ათ.ლარი წლიური გეგმის 19,98 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 1315,1 ათ.ლარი, წლიური გეგმის 18,0 % ;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 483,3 ათ.ლარი, წლიური გეგმის 22,90 %;
- სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 187,9 ათ.ლარი, წლიური გეგმის 20,90%;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 176,1 ათ.ლარი, წლიური გეგმის 19,47 %;

2017 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის I კვარტლის ხარჯებმა შეადგინა 36,6 ათ.ლარი (დანართი #4)

**საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური**  
**უფროსი:**

/გ.მამაკაიშივილი/